უსაფრთხოების მექანიზმები

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბაზისბანკი უზრუნველყოფს ინტერნეტბანკში უსაფრთხოების ნორმებს, ამავდროულად, ინტერნეტბანკთან მუშაობისას უსაფრთხოების წესები უნდა დაიცვას მომხმარებელმაც.

ინტერნეტბანკის რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ბაზისბანკის ნებისმიერ სერვისცენტრს, რეგისტრაციის დროს გადმოგეცემათ მომხმარებლის სახელი და პირველადი პაროლი.
სისტემაში პირველივე შესვლისას ავტომატურად მოითხოვება პირველადი პაროლის გამოცვლა და ახალი, პერსონალური პაროლის რეგისტრაცია.

ახალი პაროლი უნდა შედგებოდეს:

- **მინიმუმ 6 სიმბოლოსაგან;**
- **შეიცავდეს ციფრებს, ლათინურ დიდ და პატარა ასოებს.**

ინტერნეტბანკი შესვლისას, პაროლის 3-ჯერარასწორადაკრეფის შემთხვევაში, სისტემა დაბლოკავს თქვენს მომხმარებელს.წვდომის ასაღდგენადსაჭიროადაუკავშირდეთბანკს.
პაროლი უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, არ გაანდოთ პაროლი დამომხმარებლის სახელი სხვას.

ინტერნეტბანკში შესვლამდე დარწმუნდით, რომ შედიხართვებ–გვერდზე: https://www.Bankonline.ge სიზუსტე შეამოწმეთ უსაფრთხოების სერტიფიკატით, მისამართის ზოლზე მოთავსებულ ბოქლომზე დაჭერით, რომელიც ადასტურებს, რომ თქვენ დაუკავშირდით "ბაზისბანკის" ინტერნეტ გვერდს.

გახსნილი ინტერნეტბანკის გვერდი უმოქმედობის შემთხვევაში რამდენიმე წუთში ავტომატურად დაასრულებს მუშაობის სეანსს, ხელახლა შესვლა მხოლოდ პაროლის აკრეფის შემდეგ იქნება შესაძლებელი.
ინტერნეტბანკში შესვლის უსაფრთხოების დონის გასაზრდელად შესაძლებელია, მოითხოვოთ ერთჯერადი კოდის მიღება, რომელიც სისტემაში შესვლისას, მომხმარებლის სახელისა და პაროლის აკრეფის შემდგომ უნდა მიუთითოთ, რითაც დამატებით გაზრდით ინტერნეტბანკში შესვლის უსაფრთხოებას.

შეეცადეთ ინტერნეტბანკში მუშაობა დაასრულოთ "გამოსვლის"-ს ღილაკზე დაჭერით.